მატჩი ბაქოში

ბაქო. 19 მაისი. დღეს რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი "ა" კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოს "ნეფტიანიკი" და თბილისის "დინამო".

ინტერესი 19 მაისის მატჩისადმი დიდი იყო. თუმცა ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იცოდნენ, რომ თბილისელთა გუნდი საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა სათამაშოდ.

"ნეფტიანიკმა" განსაკუთრებით კარგად ჩაატარა პირველი ტაიმი. გუნდი ჩვეული სისტემით თამაშობდა დაცვაში, რომელიც, როგორც წესი, გაძლიერებული იყო ერთი მოთამაშით. აქ საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვანილი კალოევი, მაგრამ მას ისედაც იშვიათად მოსდიოდა ბურთები ფლანგებიდან (განსაკუთრებით მელაშვილის მხრიდან), ხოლო მინდვრის შუაგულიდან წარმოებულ ერთფეროვან გადაცემებს დაცვა იოლად უმკლავდებოდა. ტაიმის დასასრულს, დაახლოებით 43-ე წუთზე მამედოვმა კარგად გამოიყენა დინამოელთა მცველისა და მეკარე კოტრიკაძის შეცდომა და გახსნა ანგარიში _ 1:0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თამაში და კალოევმა გაქვითა კიდეც გოლი _ 1:1. მიუხედავად ორივე გუნდის მრავალი ცდისა, ანგარიში მატჩის ბოლომე არ შეცვლილა.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ასევე ფრედ _ 2:2.

ო. ისმაილოვი, ჩვენი სპეც. კორ.
"ლელო", 20 მაისი, 1961 წ.